სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/45

ქ. თბილისი 3 ივლისი 2019

ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დამტკიცებულ საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქ. ქოქრაშვილის 2019 წლის 14 ივნისის №05-01/11 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 3 ივლისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დამტკიცებულ საშტატო განრიგში შეტანილ იქნეს ცვლილება, სახელფასო ფონდის ცვლილების გარეშე, კერძოდ: ინსტიტუტის ინფორმატიკის განყოფილებაში შეიქმნას ქვესტრუქტურული რგოლი სახელწოდებით „პარალელური პროგრამების ცენტრი“ 1.5 საშტატო ერთეულით, ინსტიტუტის სწავლული მდივნის ერთი საშტატო ერთეული გადაკეთდეს 0.5 საშტატო ერთეულად, ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების განყოფილებაში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ერთი საშტატო ერთეულის ნაცვლად შეიქმნას მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ერთი საშტატო ერთეული;
2. აღნიშნული ცვლილება ძალაში შევიდეს შესაბამისი კონკურსის ჩატარების შემდეგ;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოვიძე**